

# საპენსიო რეფორმის გავლენა ქვეყნის ბიზნეს გარემოზე

სალომე კაპანაძე

სოფიო ბაკურაძე

თამთა ჩხაიძე

ჯგუფი # 32

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი დანელია,  
ბიზნეს სკოლის  
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2019

## რეზიუმე

საქართველოში 2019 წლის 1 იანვარს ამოქმედდა კანონი დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ. საპენსიო სისტემა ნებისმიერი ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი მუდმივად დიდი ინტერესის და დაკვირვების სფეროა. საკითხი ძალიან საინტერესო და აქტუალურია ქართული საზოგადოებისთვისაც. საკითხისადმი არსებული დიდი ინტერესიდან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომი საქართველოს დაგროვებით საპენსიო სისტემას ეხება. საპენსიო სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს, მოქალაქის საპენსიო ასაკის მიღწევის შემდგომ, სტაბილური და ნორმალური ცხოვრების გარანტიას.

ნაშრომში განხილულია საქართველოში არსებული საპენსიო სისტემა ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე. ასევე, გაანალიზებულია ის გამოწვევები, რომლის წინაშეც საქართველოს ეკონომიკა აღმოჩნდა დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღებასთან ერთად.

მოცემული კვლევის ძირითადი თემაა საპენსიო სისტემის რეფორმის ზეგავლენა ქართულ ბიზნესზე და ზოგადად ეკონომიკაზე. აქცენტი კეთდება მოქალაქეების მიერ პენსიის დაგროვების წლებში მათი თანხების ოპტიმალური დაბანდების შესაძლებლობასა და ამ დაბანდებით მისაღებ შემოსავალზე, როგორც მოქალაქისთვის, ასევე, სახელმწიფოსთვის.

ნაშრომში განხილულია საპენსიო სააგენტოს მიერ დაგროვილი თანხების ინვესტირების შესაძლო გზები, ფორმები და შედეგები, ასევე, შესაძლო ზეგავლენა ქვეყნის ბიზნეს გარემოზე. მიმოხილულია ის სარგებელი, რაც შეუძლება საპენსიო დანაზოგის დაბანდებამ მოიტანოს და გამოწვევები, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ქართული ბიზნესი და სახელმწიფო.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** პენსია, აქტივების განაწილება, ჩანაცვლების კოეფიციენტი, განსაზღვრული შენატანების საპენსიო სქემა, დაგროვების პერიოდი.

## **Abstract**

On January 1, 2019, the Law on Accumulated Pension System was enacted in Georgia. The pension system is one of the most important parts of any country's social policy. It constantly is the sphere of great interest and observation. This issue is very interesting and relevant for the Georgian society too. The master's thesis is about accumulated pension system of Georgia due to the great interest to the issue. The pension system should ensure a stable and normal life after the retirement age of a citizen.

The work reviews the existing pension system in Georgia from the day of attainment of the independence by the country and till now. It also analyzes the challenges which Georgia's economy faces because of the introduction of accumulated pension system.

The main theme of this study is the impact of pension system reform on Georgian business environment and on economy generally. The focus is placed on the possibility of optimal investment by citizens of their funds during the years of pension accumulation and on the income to be received through such investment by the citizen and the state as well.

The work reviews the possible ways, forms and results of investing amounts accumulated by the pension agency, as well as possible impact on the country's business environment. The benefits are worthwhile, which will be impossible to invest in pension savings and challenges faced by Georgian business and state. There are reviewed the benefit, which can be brought by the investment of the pension saving and the challenges that can be faced by Georgian business and the state.

**Key Words:** Pension, Assets Distribution, Replacement Coefficient, Fixed Deposits' Pension Scheme, Accumulation Period.